სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/28

ქ. თბილისი 24 მარტი 2026 წ.

დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, თამარ წერეთლის 2026 წლის 23 მარტის MES 3 26 0000348429 სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს წინადადება - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული განათლების განვითარების, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამების შექმნისა და მათი ხარისხიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად ერთიანი კოორდინაციისა და ეფექტიანი ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის სასწავლო ერთეულის - დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების თაობაზე.
2. დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიულ კოლეჯს შეეცვალოს დასახელება და ეწოდოს დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პროფესიული კოლეჯი.
3. მოწონებული იქნეს დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პროფესიული კოლეჯის დებულების, აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულებებსა და ერთიან საშტატო ნუსხაში შესატანი წარმოდგენილი ცვლილებების პროექტები (დანართი).

4. წინადადება დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით და დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პროფესიული კოლეჯის დებულების, აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულებებსა და ერთიან საშტატო ნუსხაში შესატანი წარმოდგენილი ცვლილებების პროექტები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**